წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N4

07 სექტემბერი 2022 წელი

ქ. წალენჯიხა

სხდომას თავმჯდომარეობდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე კორნელი სალია

სხდომას ესწრებოდნენ :

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: ნანა ქობალია, თამარ ბელქანია, მაია მიქავა, რომან კვარაცხელია, მამუკა მიქავა, სოლომონ სარია, ჯულიეტა როგავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ : გიორგი დარსალია, დარეჯან დადიანი, ეკა სამუშია, დიმა კვარაცხელია, ზაზა უბილავა, დალი კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, კახა კვარაცხელია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ხატია მაქაცარია - გენდერზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომა დაიწყო: 14:30 სთ.

სხდომა დასრულდა : 15:10 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 ნლის 6 თვეში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში
   მომხსენებელი: კორნელი სალია

2. ფოკუს ჯგუფისთვის საკვლევი თემის შერჩევა
   მომხსენებელი: კორნელი სალია

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 ნლის 6 თვეში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს თავმჯდომარე -კორნელი სალიამ საბჭოს წევრებს გააცნო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 ნლის 6 თვეში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში. მან ისაუბრა სამოქმედო გეგმაში

გაწერილი ამოცანების შესრულების პროცესზე თითოეული ინდიკატორის მიხედვით. ასევე საბჭოს წევრებს გააცნო როგორც შესრულებული და პროცესში მყოფი აქტივობები.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 ნლის 6 თვეში განხორციელებული საქმიანობა გენდერული თანასწორობის საბჭოს თითოეულმა წევრმა დადებითად შეაფასა.

აღნიშნული ანგარიში გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2.ფოკუს ჯგუფისთვის საკვლევი თემის შერჩევა

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ ისაუბრა ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), USAID-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის - ,,საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის საბჭოების მხარდაჭერის შესახებ. მან აღნიშნა რომ NDI კონსულტაცია გამართა ფოკუს ჯგუფის კვლევის მოდერაციის საკითხებში პარტნიორი გენდერული თანასწორობის საბჭოების მიერ წარმოდგენილ მონაწილეებთან . მოხდა მოდერატორების გადამზადება, რომლებიც ფოკუს ჯგუფთან ჩაატარებენ კვლევას. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ამ კვლევისთვის თემის შერჩევა.

მაია მიქავამ წარმოადგინა შემდეგი თემა:

ა. გენდერული ბიუჯეტირებაზე კადრების გადამზადების აუცილებლობა.

ბ. რა ფაქტირები აფერხებს ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და პროფესიულ წინსვლას.

კორნელი სალიამ საბჭოს წევრებს გააცნო გიორგი დარსალიას და დიმა კვარაცხელია მიერ ელექტრონულ მეილზე გამოგზავნილი შესარჩევი თემები.

ა. დევნილთა დასაქმების და საცხოვრებლის პრობლემები.

ბ. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვების პრობლემები.

გ. „საჯარო სამსახურის კარიერულ განვითარებაში გენდერულად განპირობებული პოტენციური განსხვავებები“ კვლევა,რომელიც მიზნად ისახავს, დაადგინოს ის მნიშვნელოვანი გავლენები, რასაც გენდერი შეიძლება ახდენდეს საჯარო სამსახურში კარიერის განვითარებაზე.

შემდეგი ფაქტორების გაანალიზება:

- როგორია ქალი და კაცი მენეჯერის მიერ გავლილი გზა საჯარო სამსახურში ფეხის შედგმიდან დღემდე მიღწეულ პოზიციამდე?
- როგორია ქალი და კაცი საჯარო მოხელეების აღქმა საჯარო სამსახურში პროფესიული განვითარების საჭიროებისა და სარგებლიანობის შესახებ?

• რა საჭიროებები, გამოწვევები და მოსაზრებები (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ფაქტორები) აქვთ ქალ და კაც საჯარო მოხელეებს კარიერის განვითარების თითოეულ ეტაპზე?

•როგორია ქალი და კაცი საჯარო მოხელეების აღქმა საჯარო სამსახურში კარიერის განვითარების სისტემის ეფექტიანობაზე?

• რა წარმოადგენს საჯარო მოხელეების კარიერის განვითარების საუკეთესო პრაქტიკას და შესაძლო განსხვავებების აღმოფხვრის საშუალებას?

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა თამარ ბელქანიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ფუნდამეტური სერვისები ჯანდაცვის კუთხით. არ არის რაბიოლოგიური და შოკური კაბინეტი, არ არის სამშობიარო. მას მიზანშეწონილად მიაჩნია კვლევა ჩატარდეს ჯანდაცვის მიმართულებით.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა სოლომონ სარიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში აუცილებელია იყოს ფსიქოლოგი, რომელიც კონსულტაციას გაუწევდა ძალადობის მსხვერპლ პირებს.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს თამარ ბელქანიას მოსაზრება და ერთხმად გადაწყვიტეს მომავალ სხდომაზე მოწვეულ იქნეს წალენჯიხის ევექსის კლინიკის ხელმძღვანელი მაია მაღლაკელიძე. რაც შეეხება კვლევას აუცილებელია ჩატარდეს ჯანდაცვის მიმართულებით, თემაზე - წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალიამ აღნიშნული საკითხი ღია კენჭისყრაზე დააყენა .

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი- არცერთი.

საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა კვლევა ჩატარდეს თემაზე - წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარე კორნელი სალია

გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი ნანა ქობალია